



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1191

„31“ ოქტომბერი 2014 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა სსიპ - იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ და მისი საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-10 კმ.-ზე ნაკვეთი 10/079-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის სარგებლობაში უვადოდ, უსასყიდლოდ გადაცემა. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს თავის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების გადაცემის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-10 კმ.-ზე ნაკვეთი 10/079-ში განთავსებული ადმინისტრაციული შენობა სარგებლობაში გადასცეს სსიპ - იუსტიციის უმაღლეს სკოლას.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი